დინამოელთა უკანასკნელი მატჩი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 15 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “მოლდოვა” (კიშინიოვი) – 1:1 (1:0).

“მოლდოვა”: ვოსტროილოვი, მირგოროდსკი, ლარინი, შაფრანსკი, ბუტილკინი, ეხინი, ჩერგენეცი, ცინკლერი, კოროტკოვი, მუხორტოვი, ფალამეევი (სამოხინი).

“დინამო”: კვაჭაძე, ჩოხელი, სიჭინავა, უსტაბაშიდი, კოტრიკაძე, ღოღობერიძე, გაგნიძე, ბარქაია (დალაქიანი), მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი: კ. დემჩენკო (მოსკოვი).

ჩემპიონატის ბოლო მატჩმა, რომელიც გუშინ ჩატარეს თბილისის დინამოელებმა საკუთარ მინდორზე, ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ის ადგილი, რომელიც მათ უკავიათ მიმდინარე გათამაშებაში (მე–9), სავსებით შეეფერება მათი თამაშის კლასს.

კიშინიოველებმა აჩვენეს მხოლოდ ის, რომ მათ შეუძლიათ მონდომებული, აქტიური ბრძოლა ბურთისათვის. მოთამაშეთა ტექნიკა საშუალოს არ აღემატება, ხოლო მთელი მათი ტაქტიკა ამოიწურება იმით, რომ ნახევარმცველები და მცველები მინდვრის სიღრმიდან ცდილობენ გრძელი გადაცემით მიაწვდინონ ბურთი მოძრაობაში მყოფ თავდამსხმელებს და თუ რომელიმე მათგანი თავისუფალი აღმოჩნდა საჯარიმო მოედანზე, შეიძლება მიღწეულ იქნას შედეგი. იშვიათად, რომ “მოლდოვამ” გაითამაშოს კომბინაცია ფლანგზე ან თავდასხმის სამეულში.

თბილისელთა თამაშში არ იგრძნობოდა გარკვეული გეგმა, არ ჩანდა ნახაზი. დაცვაში უხეშ შეცდომებს უშვებდა სიჭინავა, რომელიც ხშირად უსაფუძვლოდ ტოვებდა ცენტრალურ ზონას კარის წინ და აზარტში შესული მიჰყვებოდა არა მარტო თავის “ქვეშეფს” კოროტკოვს, არამედ სხვებსაც. გარდა ამისა, იგი მეტისმეტი გულმოდგინებით “ცელავდა” მოწინააღმდეგეებს, რის გამოც მასპინძელთა კარში ზედიზედ ინიშნებოდა საჯარიმო დარტყმები. ამაში მას ბევრად არც ჩოხელი ჩამორჩებოდა. ზედმეტი დატვირთვა აიღო თავის თავზე ღოღობერიძემ, რომელიც ბურთის უბრალო და სასარგებლო გათამაშებას რატომღაც არჩევდა მის ხანგრძლივ ტარებას მეტად რთულ და კრიტიკულ სიტუაციაში.

“დინამოს” თავდასხმაში ერთადერთ სახიფათო ძალას წარმოადგენდა მესხი. დანარჩენნი არა თუ არ უწყობდნენ მას ხელს სტუმართა კარის იერიშში, ხშირად აბრკოლებდნენ კიდეც მის მიერ დაწყებულ კომბინაციებს. მისი უახლოესი პარტნიორი იამანიძე განუწყვეტლივ აჩერებდა და კარგავდა ბურთს, რის შედეგადაც “მოლდოვას” მარჯვენა ნახევარმცველი ბუტილკინი თავისუფლად და დიდი სარგებლით მუშაობდა თავისი გუნდისათვის.

ერთადერთი ბურთი, რომელიც “მოლდოვას” კარში გაიტანა გაგნიძემ პირველი ტაიმის მე–11 წუთზე, მთლიანად ვოსტროილოვის შეცდომას შეიძლება მიეწეროს.

კიშინიოველები თავგამოდებით იბრძოდნენ საპასუხო ბურთის გატანისათვის და შეძლეს კიდეც მიზნის მიღწევა. მეორე ტაიმის 29–ე წუთზე მუხორტოვმა გადაინაცვლა მარჯვნივ, მიიღო გადაცემა და მარცხენა დაბალ კუთხეში გაიტანა გოლი.

1:1 – ასე დამთავრდა ეს მატჩი.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 16 ოქტომბერი, 1958 წ.